

თარჯიმანთა უფლება-
- მოვალეობები საქართველოს
კანონმდებლობის მიხედვით





USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
The Judicial Independence and
Legal Empowerment Project (JILEP)



პარაზიის
თანამშრომლობის
ფონდი



*ბროშურა დაფინანსებულია ევრაზიის
თანამშრომლობის ფონდის მიერ „სამოქალაქო ინიციატივა
დამოუკიდებელი სასამართლოსთვის“ პროექტის
ფარგლებში, ამერიკელი ხალხის დახმარებითა და
შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების
სააგენტოსა (USAID)
და აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტის
(EWMI) მეშვეობით.*

*ბროშურაში წარმოდგენილი ავტორისეული
შეხედულებები შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ევრაზიის
თანამშრომლობის ფონდის, შეერთებული შტატების
საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID),
ამერიკის მთავრობის, ან აღმოსავლეთ-დასავლეთ
მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.*

*ბროშურა შეადგინა
გვანცა დავითაშვილმა*

სარჩევი

შესავალი	4
1.საქართველოს კონსტიტუცია - სამართალწამოების ენა და თარჯიმანი	5
2.თარჯიმანთა უფლება-მოვალეობები საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით	6
2.1.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი	6
2.2.საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი	9
3.თარჯიმანთა უფლება-მოვალეობები საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიხედვით	14
3.1.საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი	14
3.2.საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი	14
4.თარჯიმანთა უფლება-მოვალეობები საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით	15
4.1.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი	15
5.პრაქტიკული სავარჯიშოები (კაზუსები).....	20
6.კითხვარი	24
გამოყენებული ლიტერატურა.....	27

შესავალი

საინფორმაციო ხასიათის ბროშურა მიზნად ისახავს საერთო სასამართლოებში დასაქმებული თარჯიმნებისათვის საქართველოს კანონმდებლობით მათთვის დადგენილი უფლება-მოვალეობების გაცნობას. ამ მიზნით ბროშურაში განხილულია თარჯიმანთა უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები. სამართლებრივი ნორმების სიღრმისეული შესწავლისათვის კი ბროშურაში წარმოდგენილია კაზუსები და კითხვარი. ბროშურა შემუშავდა პროექტის “მართლმსაჯულებისადმი საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა” ფარგლებში საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს მიერ.

1. საქართველოს კონსტიტუცია - სამართალწამოების ენა და თარჯიმანი

საქართველოში საერთო სასამართლოებში საქმის წარმოებისას, სამართლიანისასამართლოსუფლებაზეთანაბარიხელმისაწვდომლობის მიზნით, საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს ავალდებულებს უზრუნველყოს სახელწიფო ენის არმცოდნე პირებისათვის თარჯიმნის ინსტიტუტით სარგებლობის უფლება.

საქართველოს კონსტიტუციის **მუხლი 85.2-ე** თანახმად:

„სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.“

ზემოაღნიშნული ნორმიდან მნიშვნელოვან დებულებებს წარმოადგენს:

- საქართველოში სამართალწამოების ენაა ქართული;
- პირთა წრე, რომლებიც არ ფლობენ სახელმწიფო ენას მოიცავს აგრეთვე ეროვნულ უმცირესობებს;
- სახელმწიფოს ვალდებულებაა ქართული ენის არმცოდნე პირის უზრუნველყოფა თარჯიმნით;

2.თარჯიმანთა უფლება-მოვალეობები საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით

2.1.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განმარტავს თუ რა შემთხვევებში შეიძლება ჩაითვალოს თარჯიმნის ქმედება დანაშაულებრივად და შესაბამისად როგორ დგება მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

უნდა აღინიშნოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს განზრახ არასწორი თარგმანისათვის თარჯიმნის პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში სსკ) მუხლი 348¹ -ის მიხედვით:

„ადმინისტრაციულ წარმოებაში მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა ან ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა ანდა თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნა,

– ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.“

ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს რომ:

- შესაძლებელია მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას;
- ხოლო, თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორი თარგმანის განხორციელებისას გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა (სასჯელი) აღნიშნული დანაშაულისათვის;

სსკ-ს მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის თარჯიმანი, რომელიც:

„ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ნებაყოფლობით განაცხადებს თავის მიერ ... განზრახ არასწორად თარგმნის შესახებ.“

სსკ მუხლი 370.1 - ე დანაშაულებრივ ქმედებად მიიჩნევა თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად განხორციელებულ თარგმანს და აწესებს შესაბამის სანქციებს:

„მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა, ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა, ექსპერტის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობა ანდა თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნა გამოძიების დროს ან სასამართლოში

–ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.“

ზემოაღნიშნულ ნორმაში, მნიშვნელოვან დებულებებად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი:

- თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორი თარგმანის განხორციელების შესაძლებლობა;
- ასეთი ქმედება ჩადენილი გამოძიების პროცესში ან/და სასამართლოში;
- ამ ნორმით დადგენილი სასჯელი აღნიშნული ქმედებისათვის;

სსკ მუხლი 372.1 - ე ადგენს დანაშაულებრივ ქმედებად თარჯიმანზე ზეწოლის განხორციელების ფაქტს და აწესებს შესაბამის სანქციას. ამ მუხლის თანახმად:

„მოწმისადმი, დაზარალებულისადმი, ექსპერტისადმი ან თარჯიმნისადმი მიმართვა ან მისი დაყოლიება ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მიცემისათვის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ანდა არასწორად თარგმნისათვის, ან მის მიერ მიცემული ჩვენების ან დასკვნის შეცვლისათვის,

–ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.“

ამ ნორმიდან აღსანიშნავია:

- თარჯიმნისადმი მიმართვა არასწორი თარგმანისათვის;
- თარჯიმნის დაყოლიება განზრახ არასწორი თარგმანისათვის;
- ნორმით განსაზღვრული სასჯელი აღნიშნული დანაშაულისათვის;

სსკ **მუხლი 372.2** - ე არეგულირებს ზემოთ განხილული დანაშაულებრივი ქმედებების მსგავს შემთხვევებს დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას და აწესებს უფრო მკაცრ სასჯელებს. ამ მუხლის მიხედვით:

„მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვა ან მისი იძულება ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მიცემისათვის ან განზრახ არასწორად თარგმნისათვის, ანდა ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან მისი შეცვლისათვის, თუ ამას ერთვის მისთვის ანდა მისი ახლო ნათესავისათვის ნებისმიერი სახის ქონებრივი სარგებლის შეთავაზება ან მოკვლის, ძალადობის, ქონების დაზიანების, განადგურების ანდა სხვა მუქარა,

– ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.“

ამ ნორმის ამოქმედებისათვის მნიშვნელოვან დებულებებს წარმოადგენს:

- თარჯიმნის მოსყიდვა განზრახ არასწორი თარგმანისათვის;
- თარჯიმნის იძულება განზრახ არასწორი თარგმანისათვის;
- ქონებრივი სარგებლის შეთავაზება თარჯიმნისათვის ან მისი ახლო ნათესავისათვის;
- მუქარა (თარჯიმნის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ) – მოკვლის, ძალადობის, ქონების დაზიანების, განადგურების ანდა სხვა მუქარა;
- სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული დანაშაულისათვის;

სსკ **მუხლი 372.3** - ე ასევე დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას აღწერს. ამ მუხლის მიხედვით:

„ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ძალადობით.

– ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.“

- მუხლი 372.2 - ე გათვალისწინებული ქმედებები, რომლებსაც თან ერთვის ძალადობა;
- ითვალისწინებს ამ ნორმით დადგენილ სასჯელს;

სსკ მუხლი 372.4 - ე არეგულირებს ზემოაღნიშნულ დანაშაულს, დამატებითი დამამძიმებელი გარემოების არსებობის პირობებში:

„იგივე ქმედება, რომელიც საშიშაა სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის,

– ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.“

„შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.“

2.2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) მუხლი 11 ითვალისწინებს საქართველოში სამართალწარმოების ენას - ქართულს. ამ მუხლის თანახმად:

„სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება ქართულ ენაზე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. პროცესის მონაწილეს, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ამ კოდექსით დადგენილი წესით დაენიშნება თარჯიმანი.“

ამ მუხლის მნიშვნელოვან დებულებებად უნდა განვიხილოთ:

- საქართველოსში სისხლის სამართლის საქმეებზე სამართალწარმოება ქართულად და აგრეთვე აფხაზურად (აფხაზეთში);
- ქართული ენის არმცოდნე პირისათვის თარჯიმნის დანიშვნის ვალდებულება;
- თარჯიმნის დანიშვნა კოდექსით დადგენილი წესით;

სსსკ მუხლი 37.6 – ე მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეებზე თარჯიმანს მოიწვევს გამომძიებელი. ამ ნორმის თანახმად:

„თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძვლები, გამომძიებელი უფლებამოსილია:

დ) მოიწვიოს თარჯიმანი, ექსპერტი, ამოსაცნობი პირი;“

- კანონით დადგენილი საფუძვლებია: სახელმწიფო ენის არცოდნა ან არასათანადო ცოდნა;
- გამომძიებლის უფლებამოსილება ასეთ შემთხვევაში მოიწვიოს თარჯიმანი;

სსსკ **მუხლი 38.8-ე** თარჯიმნის ინსტიტუტით სარგებლობის უფლებას ანიჭებს ბრალდებულს. ამ მუხლის თანახმად:

„ბრალდებულს უფლება აქვს, დაკითხვის და სხვა საგამომძიებო მოქმედების ჩატარების დროს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე, თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც თარჯიმნის გარეშე მასთან კომუნიკაციას გამორიცხავს.“

ამ მუხლის მიხედვით მნიშვნელოვანია:

- საგამომძიებო პროცესის მიმდინარეობისას თარჯიმნის ჩართულობა;
- ისეთ შემთხვევებში როდესაც ბრალდებული არ ფლობს ან სათანადოდ ვერ ფლობს ქართულ ენას;
- სახელმწიფოს ფინანსური ვალდებულება თარჯიმნის წინაშე;

სსსკ **მუხლი 47-ე** თანახმად თარჯიმანს სასამართლოში ჩვენების მიცემისას გააჩნია მოწმის სტატუსი. ამ მუხლის მიხედვით:

„სასამართლოში ჩვენების მიცემისას მოწმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები ენიჭებათ და მისი მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს.“

სსსკ **მუხლი 53-ე** დაწვრილებით აღწერს იმ გარემოებებს რომლებიც წარმოადგენენ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, პროცესში თარჯიმნის მონაწილეობის აუცილებელ წინაპირობას. ამ მუხლის მიხედვით:

„1. თარჯიმანს იძახებენ, როცა:

ა) პროცესის მონაწილემ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

ბ) საჭიროა სისხლის სამართლის პროცესის ენაზე ითარგმნოს ტექსტი.

მნიშვნელოვანია, რომ:

- სამართალწარმოების ენის არმცოდნე პირი მონაწილეობს სასამართლოში საქმის წარმოების დროს;
- სავალდებულოა სამართალწარმოებისას სისხლის სამართლის პროცესის ენაზე(ქართულად) ტექსტის თარგმნა;

ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით:

„2. თარჯიმნის გამოძახების შესახებ გამომძიებელს ან პროკურორს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს – განჩინება.“

აღსანიშნავია რომ:

- თარჯიმნის გამოძახება გამომძიებლის ან პროკურორის მიერ ეფუძნება მის დადგენილებას;
- თარჯიმნის გამოძახება სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ეფუძნება მის განჩინებას;

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით:

„4. პროცესის სხვა მონაწილეს თარჯიმნის მოვალეობის შესრულების უფლება არა აქვს.“

- მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება მხოლოდ თარჯიმნის მიერ;

სსსკ მუხლი 54-ე მოიცავს და არეგულირებს თარჯიმანთა საპროცესო სამართლებრივ უფლებებსა და მოვალეობებს. ამ მუხლის მიხედვით დეტალურადაა აღწერილი თარჯიმანთა უფლება - მოვალეობათა ნუსხა. აღნიშნული ნორმის მიხედვით:

1. თარჯიმანს უფლება აქვს:

„ა) თარგმანის დასაზუსტებლად შეკითხვა დაუსვას პროცესის მონაწილეებს;

ბ) გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების ოქმს და სასამართლო სხდომის ოქმს;

გ) გამოთქვას შენიშვნა, რომელიც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი;

დ) უარი თქვას თარგმნაზე, თუ ამისთვის საჭირო ცოდნა არ გააჩნია. „

2. თარჯიმანი ვალდებულია:

„ა) გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამომძახებით;

ბ) ზუსტად და სრულად თარგმნოს ჩვენება და დოკუმენტი;

გ) ხელმოწერით დაადასტუროს თარგმანის უტყუარობა მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების ოქმში და სხვა საპროცესო დოკუმენტში;

დ) გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამყდავნოს გამოძიების მასალა, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შემცველი ცნობები.“

სსსკ მუხლი 61–ე მოიცავს სისხლის სამართლის საქმეზე, სასამართლო პროცესში თარჯიმნის მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებებს. ამ მუხლის მიხედვით:

„თარჯიმანს უფლება არა აქვს, მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში, როცა არსებითად დამოკიდებულია სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მონაწილეზე ან/და ნათესაური ურთიერთობა აქვს მასთან.“

➤ თარჯიმნის მონაწილეობის დაუშვებლობა სისხლის სამართლის პროცესში:

- 1) როდესაც არსებითად დამოკიდებულია სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მონაწილეზე;
- 2) გააჩნია ნათესაური ურთიერთობა პროცესის რომელიმე მონაწილესთან;¹

სსსკ მუხლი 62.1–ე თანახმად, თარჯიმანს აქვს თვითაცილების საპროცესო უფლება, რა დროსაც მას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ აცილების საფუძვლების არსებობისას უშუალოდ თარჯიმანმა მოითხოვოს მისი პროცესიდან აცილება. ამ მუხლის მიხედვით:

„თუ არსებობს სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის, სასამართლო სხდომის მდივნის, ადვოკატის, თარჯიმნის ან ექსპერტის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება, მან

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ახლო ნათესავად ითვლება: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).

დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს თვითაცილება“.

- თარჯიმნის უფლებასილება(ვალდებულება) თვითაცილებაზე;

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით:

„4. თვითაცილების შესახებ განცხადებას ადვოკატი, თარჯიმანი, ექსპერტი აკეთებენ პროკურორთან, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას ზემოაღნიშნული პირები და სასამართლო სხდომის მდივანი – სასამართლოში.“

- გამოძიების მიმდინარეობისას თარჯიმნის თვითაცილების შესახებ განცხადება - პროკურორთან;
- სასამართლოში საქმის განხილვისას თარჯიმნის თვითაცილების შესახებ განცხადება - სასამართლოს წინაშე;

სსსკ მუხლი 63-ე განმარტავს თარჯიმნის აცილების შესახებ სასამართლოს წინაშე (აგრეთვე გამოძიებისას) შუამდგომლობის დაყენების საკითხს. ამ მუხლის მიხედვით:

„3. საქმის სასამართლო განხილვისას მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, სასამართლო სხდომის მდივნის, ადვოკატის ან თარჯიმნის აცილების შუამდგომლობას ამისთვის უფლებამოსილი პირები აყენებენ სასამართლოში.“

აგრეთვე:

„4. გამოძიებისას გამომძიებლის ან თარჯიმნის აცილების შუამდგომლობას მხარე აყენებს პროკურორთან.“

სსსკ მუხლი 90.1 – ე არეგულირებს თარჯიმნის საქმიანობასთან დაკავშირებულ ანაზღაურების საკითხს. ამ მუხლის თანახმად:

„ექსპერტს ან თარჯიმანს ანაზღაურება არ ეძლევა, თუ საქმიანობისათვის სახელმწიფოს მიერ დანიშნული აქვს ხელფასი.“

- თარჯიმნის ანაზღაურება სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

3.თარჯიმანთა უფლება-მოვალეობები საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიხედვით

3.1.საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (შემდგომში სასკ) არეგულირებს თარჯიმნის ინსტიტუტით სარგებლობის იმ შემთხვევებს, როდესაც ხდება სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული წარმოება.

სასკ მუხლი 258 -ე მიხედვით:

„თარჯიმანს დანიშნავს ორგანო (თანამდებობის პირი), რომლის წარმოებაში იმყოფება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

თარჯიმანი მოვალეა გამოცხადდეს ორგანოს (თანამდებობის პირის) გამოძახებით და სრულად და ზუსტად შეასრულოს მისთვის დავალებული თარგმანი.“

ამ ნორმიდან ჩანს, რომ:

- თარჯიმნის დანიშვნის უფლებამოსილება აქვს იმ ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომლის წარმოებაშიც იმყოფება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე;
- თარჯიმნის ვალდებულებაა სრულფასოვნად შესრულოს დაკისრებული დავალება;

3.2.საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (შემდგომში სასკ) არ არეგულირებს თარჯიმნის მონაწილეობის საკითხს ადმინისტრაციული საქმის წარმოების დროს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თარჯიმნის ინსტიტუტი არ გამოიყენება ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას.

სასკ მუხლი 1-ლი მიხედვით:

„2. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.“

- ამრიგად, სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაზე დაყრდნობით ხდება ადმინისტრაციული საქმის განხილვის დროს თარჯიმნის ინსტიტუტის ჩართულობის უზრუნველყოფა;

4.თარჯიმანთა უფლება-მოვალეობები საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით

4.1.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არეგულირებს თარჯიმნის მონაწილეობას სამოქალაქო საქმის განხილვის დროს. აგრეთვე აწესებს პროცესში მონაწილე თარჯიმნებისათვის გარკვეული სახის უფლებებსა და მოვალეობებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) **მუხლი მე-9.4** სამართალწარმოების ენად აცხადებს ქართულ ენას. ამ მუხლის თანახმად:

„სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს მიეჩინება თარჯიმანი.“

ამრიგად, ირკვევა რომ:

- სამართალწარმოება სამოქალაქო საქმეებზე ქართულ ენაზე მიმდინარეობს;
- სახელმწიფოს ვალდებულებაა ქართული ენის არმცოდნე პირს მიუჩინოს თარჯიმანი;

სსკ **მუხლი 31.1 - ე** გათვალისწინებულია ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილების საფუძვლები. ამ მუხლის მიხედვით აცილების საფუძველს წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როდესაც თარჯიმანი:

„ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამ თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს; ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად; გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია; დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში. ე) ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად.“

მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ რომელი ნათესაური კავშირი მიიჩნევა აცილების საფუძველად სამოქალაქო საქმის განხილვის დროს. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს სსკ, რომლის მიხედვითაც:

„2. ამ მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეკუთხუთის თანახმად, ნათესავებად ითვლებიან:

ა) მეუღლე; ბ) დანიშნული; გ) პირდაპირი ხაზის ნათესავები; დ) და-ძმა; ე) დისშვილები და ძმისშვილები; ვ) მშობლების და-ძმები; ზ) დანათესავებულები (მოყვრები); თ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი. „

სწორედ ეს ამომწურავი ჩამონათვალი წარმოადგენს ნათესავთა წრეს სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

სსკ მუხლი 45-ე არეგულირებს მთარგმნელობით საქმიანობასთან დაკავშირებულ ანაზღაურების საკითხებს. ამ მუხლის მიხედვით:

„1. მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, თარჯიმნებს აუნაზღაურდებათ სასამართლოში გამოცხადებისათვის გაჩეული მგზავრობისა და საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები და მიეცემათ დღიური თანხა. ამასთან, კერძო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებები (დამოუკიდებელი ექსპერტები), სპეციალისტები, თარჯიმნები იღებენ გასამრჯელოს დადებული შეთანხმების საფუძველზე სასამართლოს დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის. ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დრო, რომელიც მათ უნდა მოახმარონ სასამართლოს დავალების შესრულებას, მასალები, რომლებიც საჭირო იქნება ამ მოვალეობის სათანადოდ შესრულებისათვის და სხვა.“

ზემოაღნიშნული ნორმიდან ჩანს რომ:

- თარჯიმანს აუნაზღაურდება: სასამართლოში გამოცხადებისათვის საჭირო მგზავრობის ხარჯი, საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯი და მიეცემა დღიური ანაზღაურება;
- კერძო დაწესებულებიდან მოწვეული თარჯიმანი, აგრეთვე იღებს გასამრჯელოს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;

სსკ მუხლი 70.1-ე თანახმად სასამართლოში თარჯიმნის დაბარება ხდება სასამართლო უწყებით. ამ მუხლის მიხედვით:

„სასამართლო უწყებით სასამართლოში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს,

„ესპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს“.

სასამართლოში თარჯიმნის დაბარების სხვა წესიც არის გათვალისწინებული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, რომლის მიხედვითაც:

„3. მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ესპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საკითხები, რა დროსაც დგება აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე.“

- თარჯიმნის დაბარება: ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით და სხვა ტექნიკური საშუალებით;

სსკ **მუხლი 211-ე** აწესებს ვალდებულებას სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვის თაობაზე და ეს ვალდებულება ასევე ეკისრებათ პროცესში მონაწილე თარჯიმნებს. ამ მუხლის თანახმად:

„მხარეები, წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები, აგრეთვე სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფი ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას.“

- თარჯიმნის ვალდებულება დაიცვას სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგი;
- თარჯიმნის ვალდებულება დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას;

სსკ **მუხლი 213-ე** ავალდებულებს სასამართლოს (მოსამართლეს) განუმარტოს თარჯიმანს მისი საპროცესო უფლებები და მოვალეობები. ამ მოვალეობების განმარტება ერთისმხრივ სავალდებულოა სასამართლოსათვის, ხოლო მეორესმხრივ მისი განუმარტაობის შემთხვევაში არ ათავისუფლებს თარჯიმანს საპროცესო ვალდებულებების შესრულებისგან. ამ მუხლის მიხედვით:

„1. სასამართლო განუმარტავს თარჯიმანს მის მოვალეობას, თარგმნოს იმ პირობა განმარტებები, ჩვენებები, განცხადებები, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოების ენას, ხოლო ამ პირობებს უთარგმნოს განმარტებათა, ჩვენებათა, განცხადებათა, სასამართლოში

გამოქვეყნებულ დოკუმენტთა შინაარსი, აგრეთვე სასამართლოს განკარგულებები, განჩინებები და გადაწყვეტილებები.“

- სასამართლოს ვალდებულება განუმარტოს თარჯიმანს მისი მოვალეობები;
- თარჯიმნის მოვალეობას წარმოადგენს:
 - 1) თარგმნოს იმ პირთა განმარტებები, ჩვენებები, განცხადებები, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოების ენას;
 - 2) ქართული ენის არმცოდნე პირებს უთარგმნოს განმარტებათა, ჩვენებათა, განცხადებათა, სასამართლოში გამოქვეყნებულ დოკუმენტთა შინაარსი;
 - 3) აგრეთვე თარგმნოს სასამართლოს განკარგულებები, განჩინებები და გადაწყვეტილებები;

აგრეთვე:

„2. სასამართლო აფრთხილებს თარჯიმანს, რომ შეგნებულად არასწორი თარგმანისათვის იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.“

- სასამართლოს ვალდებულება გააფრთხილოს თარჯიმანი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც დგება თარჯიმნის მიერ შეგნებულად არასწორი თარგმანის განხორციელების დროს.

აგრეთვე:

„3. თუ თარჯიმანი არ გამოცხადდება სასამართლოში არასაკატიო მიზეზით ან თავს აარიდებს მოვალეობის შესრულებას, იგი დაჯარიმდება 50 ლარით.“

- სასამართლოში თარჯიმნის არასაკატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში 50 ლარიანი ჯარიმის დაწესება;
- სასამართლოში თარჯიმნის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებისათვის თავის არიდების დროს 50 ლარიანი ჯარიმის დაწესება;

სსკ მუხლი 214–ე განმარტავს აცილების უფლების გამოყენების სავალდებულობას პროცესის მონაწილე პირთათვის და მათ შორის თარჯიმანთათვის. ამ მუხლის მიხედვით:

„თავმჯდომარე (მოსამართლე) აცხადებს სასამართლო შემადგენლობას, აგრეთვე იმას, თუ ვინ მონაწილეობს ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, სასამართლო სხდომის მდივნად, და განუმარტავს მხარეებს, რომ მათ შეუძლიათ განაცხადონ აცილება, თუ ასეთი აცილება საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე, ან თუ საქმეს იხილავს სხვა მოსამართლე ანდა სხვა სასამართლო შემადგენლობა, და არა ის, რომელიც ცნობილი იყო ამ საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს.“

ამ ნორმიდან ჩანს რომ:

- სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესში ხდება თარჯიმნად მონაწილე პირის გამოცხადება;
- თარჯიმანთათვის უფლება-მოვალეობების განმარტება მოიცავს:
 - 1) თარჯიმნის მიერ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე აცილების შესახებ განცხადების გაკეთების უფლებას;
 - 2) თუ მოსამზადებელ სხდომაზე საპატიო მიზეზის არსებობის გამო ვერ მოხერხდა თარჯიმნის მიერ თვითაცილების საკითხი დაყენება, თარჯიმანის უფლება აღნიშნული განცხადება გააკეთოს სასამართლოს მთავარ სხდომაზე;
 - 3) თარჯიმნის მიერ თვითაცილების საკითხის დაყენება იმ შემთხვევაში, რომდესაც საქმეს იხილავს სხვა მოსამართლე, ანდა სხვა სასამართლო შემადგენლობა და არა ის, რომელიც ცნობილი იყო ამ საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების ეტაპზე;

5.პრაქტიკული სავარჯიშოები (კაზუსები)

1. სასამართლო სხდომის გახსნისას, მოსამართლე თინა მესხორაძემ თარჯიმანი მია თითბერიძე არ გააფრთხილა, რომ შეგნებულად არასწორი თავმანისათვის მას დაეკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. სასამართლოზე მოწვეულმა თარჯიმანმა განზრახ არასწორად თარგმნა მოწმის ჩვენება. ასეთ ვითარებაში, დადგება თუ არა თაჯიმნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი განზრახ არასწორი თავმანისათვის?
2. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას პროცესზე დადგა თარჯიმნის მოწვევის აუცილებლობა. სასამართლოში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე მომუშავე თარჯიმანი არ იმყოფებოდა სასამართლოში, რადგან იგი სარგებლობდა მისთვის კანონმდებლობით დადგენილი შვებულების უფლებით. მოსამართლემ თარჯიმნად მოიწვია სასამართლოში მდივნად მომუშავე პირი, რომელიც ძალიან კარგად ფლობდა აზერბაიჯანულ ენას. კანონიერია თუ არა მოსამართლის გადაწყვეტილება?
3. შიდა ქართლის რაიონში განიხილებოდა სისხლის სამართლის საქმე. პროცესის მონაწილე ბრალდებული არ ფლობდა სამართალწარმოების ენას-ქართულს. შესაბამისად აუცილებელი გახდა თარჯიმნის მოწვევა სასამართლოზე. საქმის მასალების გაცნობის შემდეგ თარჯიმანმა უარი განაცხადა მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელებაზე იმ მოტივით, რომ საქმის მასალების გადათარგმნისთვის მას საკმარისი ცოდნა არ ჰქონდა. რამდენად საფუძვლიანი და კანონიერია თარჯიმნის განცხადება?
4. სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობა მიიღო თარჯიმანმა. აღნიშნული საქმე წარმოადგენდა განსაკუთრებული სირთულის საქმეს და შეიცავდა ერთ-ერთი მხარის პირადი ცხოვრების შემცველ ცნობებს, თარჯიმანს კი უშუალო შეხება ჰქონდა საქმის მასალებთან. თარჯიმანმა პროცესის დასრულების შემდეგ მის ახლობელს გაანდო პროცესის მონაწილე პირის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია, რასაც მოჰყვა ამ ინფორმაციის გასაჯაროება. დადგება თუ არა თარჯიმნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ასეთ ვითარებაში?
5. სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს პროცესზე მოიწვიეს თარჯიმანი. პროცესის მონაწილე ერთ-ერთი მხარე სამოქალაქო

სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა თარჯიმანთან. კერძოდ კი თარჯიმანს პროცესის მონაწილე ამ მხარისგან ნასესხები ჰქონდა თანხა 5000 დოლარის ოდენობით. შეიძლება თუ არა აღნიშნული ვითარება წარმოადგენდეს თარჯიმნის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებას და რატომ?

6. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, პროცესის მსვლელობის დროს აღმოჩნდა რომ სასამართლოს თარჯიმანს ერთგვარი კავშირი ჰქონდა პროცესის მონაწილე ერთ-ერთ მხარესთან. კერძოდ კი თარჯიმანი პროცესის მონაწილე ამ მხარის მეზობელი იყო. თუმცა, თარჯიმნისათვის სრულიად უცნობი იყო ამ მეზობლის ვინაობა და მასთან წარსულში არანაირი კონტაქტი არ გააჩნდა. როგორ უნდა მოიქცეს ასეთ ვითარებაში თარჯიმანი?
7. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს, რომელზეც თარჯიმნის მოწვევის აუცილებლობა არსებობდა, თარჯიმნის დაბარება პროცესზე არ მოხდა სასამართლოს უწყებით. სასამართლოს სხდომის გახსნისას ბრალდებული პირი ითხოვდა სხდომის ჩატარებას თარჯიმნის მონაწილეობის გარეშე. ასეთ შემთხვევაში როგორ ვითარდება სასამართლო პროცესის მსვლელობა?
8. სასამართლოში საქმის განხილვის დროს, თარჯიმანმა ორჯერ დაარღვია სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგი და არ დაემორჩილა მოსამართლის მითითებას წესრიგის დაცვის თაობაზე. რა სამართლებრივი შედეგი დადგება ასეთ ვითარებაში თარჯიმნისათვის?
9. სასამართლო პროცესის დასრულებისას, თარჯიმანმა გამოთქვა შენიშვნა სასამართლო სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ კი თარჯიმანის დაზუსტების შესახებ. აღნიშნულ მოთხოვნაზე სასამართლომ უარი განუცხადა თარჯიმანს. აქვს თუ არა თარჯიმანს სასამართლო სხდომის ოქმზე შენიშვნის გამოთქმის უფლება და სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?
10. სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა თარჯიმანი, რომელიც სასამართლოს უწყებით იყო დაბარებული. თარჯიმნის სასამართლო პროცესში მონაწილეობით დაინტერესებულმა მხარემ დააყენა შუამდგომლობა პროცესის გადადების თაობაზე. აღნიშნული მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. რამდენად კანონიერია სასამართლოს გადაწყვეტილება?

11. სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს აღმოჩნდა რომ პროცესზე მოწვეულ თარჯიმანს ნათესაური კავშირი ჰქონდა დავის მონაწილე ერთ-ერთ მხარესთან. ეს მხარე აღმოჩნდა თარჯიმნის დეიდაშვილი. როგორ უნდა მოიქცეს თარჯიმანი ასეთ ვითარებაში?
12. სასამართლომ სხდომაზე უწყებით დაიბარა თარჯიმანი, მთარგმნელობითი საქმიანობის განსახორციელებლად. თარჯიმანი სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა დროულად, რის მიზეზადაც მან მოუვლელელობა დაასახელა. მოსამართლემ თარჯიმანი დააჯარიმა 100 ლარით. რამდენად კანონიერია სასამართლოს გადაწყვეტილება?
13. სასამართლომ სხდომაზე უწყებით დაიბარა თარჯიმანი, მთარგმნელობითი საქმიანობის განსახორციელებლად. თარჯიმანი არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე იმ მიზეზით რომ მას გარდაეცვალა ოჯახის წევრი. მოსამართლემ თარჯიმანი დააჯარიმა 50 ლარით. რამდენად კანონიერია სასამართლოს გადაწყვეტილება?
14. თარჯიმანმა, რომელსაც სასამართლო პროცესზე ევალუბოდა მოწმის ჩვენების თარგმნა არ შეასრულა მისი მოვალეობა, თუმცა იგი გამოცხადებული იყო სასამართლო სხდომაზე. მოსამართლემ იგი დააჯარიმა 50 ლარით. რამდენად კანონიერია სასამართლოს გადაწყვეტილება?
15. სასამართლო სხდომის გახსნისას, მას შემდეგ რაც მოსამართლემ გამოაცხადა პროცესში მონაწილე მხარეების ვინაობა და მათ შორის თარჯიმნისაც, ერთ-ერთმა მხარემ დააყენა შუამდგომლობა თარჯიმნის აცილების თაობაზე. მოსამართლემ აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ აცილების საკითხი მხარეს უნდა დაეყენებინა საქმის მომზადების სტადიაზე. რამდენად კანონიერია სასამართლოს მხრიდან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი?
16. ახალციხის რაიონში განიხილებოდა სამოქალაქო სამართლებრივი დავა. პროცესის მონაწილე ორივე მხარე სრულყოფილად ფლობდა რუსულ ენას, ასევე მოსამართლე და სხდომის მდივანი. მოსამართლემ გადაწყვიტა პროცესი ჩაეტარებინა რუსულ ენაზე და არ მოეწვია სასამართლოში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე მომუშავე თარჯიმანი მთარგმნელობითი

საქმიანოს განსახორციელებლად. რამდენად კანონიერია სასამართლოს გადაწყვეტილება?

17. სამცხე-ჯავახეთის რაიონში, სამოქალაქო სამართლებრივი დავის განხილვის დროს პროცესის მონაწილე მხარის წარმომადგენელი შეეცადა დაეყოლიებინა თარჯიმანი არასწორი თარგმანისთვის მისი ინტერესების შესაბამისად. სანაცვლოდ თარჯიმანს დაპირდა სოლიდურ ანაზღაურებას. თარჯიმანს შეეშინდა აღნიშნული ვითარების გამხელის და თავი შეიკავა გარემოებების გამჟღავნებისაგან. როგორ უნდა მოქცეულიყო თარჯიმანი და რა სამართლებრივ გარანტიებს ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა ამგვარი გარემოებების არსებობისას?
18. თარჯიმანმა განზრახ არასწორად თარგმნა ადმინისტრაციული წარმოების დროს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი. მან ამის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე ნებაყოფლობით აღიარა, მანამ სამან ადმინისტრაციული ორგანო მიიღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას აღნიშნულ საქმეზე. ადმინისტრაციული წარმოების შედეგით დაინტერესებულმა ერთ-ერთმა მხარემ დააყენა თარჯიმანის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. მოსამართლემ თარჯიმანს დააკისრა ჯარიმა 200 ლარის ოდენობით. რამდენად კანონიერია სასამართლოს გადაწყვეტილება?
19. სასამართლოში საქმის განხილვის დროს პროცესის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს, ეროვნებით აზერბაიჯანელ საქართველოს მოქალაქეს მიეჩინა სასამართლოს თარჯიმანი სასამართლოში საქმის წარმოების დროს. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე აღნიშნულ მხარეს დაეკისრა თარჯიმანისათვის გაწეული შრომის ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით. რამდენად კანონიერია სასამართლოს გადაწყვეტილება?

6. კითხვარი

1. რა ენაზე ხორციელდება საქართველოში სამართალწარმოება?

2. სასამართლოში საქმის წარმოების დროს, რა შემთხვევაში მიეჩინება პირს თარჯიმანი?

3. ვის ვალდებულებას წარმოადგენს უზრუნველყოს სახელმწიფო ენის არმცოდნე პირი თარჯიმნის მომსახურებით?

4. რა გარემოებები შეიძლება დაედოს საფუძვლად თარჯიმნის აცილებას სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას?

5. რა პროცედურით ხდება სასამართლოში თარჯიმნის დაბარება?

6. აქვს თუ არა თარჯიმანს თვითაცილების უფლება?

7. რა შემთხვევებში აქვს თარჯიმანს თვითაცილების უფლება?

8. რა შემთხვევებში დაეკისრება თარჯიმანს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა?

9. რა შემთხვევაში ეკისრება ჯარიმის გადახდის ვალდებულება თარჯიმანს?

10. ვის შეუძლია თარჯიმნის აცილების საკითხის დაყენება და საქმის განხილვის რომელ სტადიაზე?

11. რა შედეგებს იწვევს თარჯიმნის დაყოლიება განზრახ არასწორ თარგმანზე?

12. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, რა სამართლებრივი გარანტიები არსებობს თარჯიმნისათვის, მისი მოსყიდვის ან იძულების შემთხვევაში?

13. რა გზას შეიძლება მიმართოს თარჯიმანმა, როდესაც მასზე ხორციელდება ძალადობა განზრახ არასწორად თარგმანისათვის?

14. ვის უფლებამოსილებას წარმოადგენს თარჯიმნის მოწვევა საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობის დროს?

15. რა სტატუსით სარგებლობს თარჯიმანი სასამართლოზე ჩვენების მიცემის დროს?

16. შეუძლია თუ არა თარჯიმანს მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმა და რა შემთხვევაში?

17. როგორ ადასტურებს თარჯიმანი საკუთარი თარგმანის უტყუარობას?

18. ვისი ნებართვის გარეშე არ შეუძლია თარჯიმანს გამოძიების მასალების ან მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შემცველი ცნობების

გამჟღავნება?

19. აქვს თუ არა უფლება თარჯიმანს მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში, როდესაც იგი არსებითად დამოკიდებულია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე რომელიმე მხარეზე ან/და ნაTესაური ურთიერთობა აქვს მასთან?

20. რა შედეგებს იწვევს თარჯიმნის გამოუცხადებლობა სასამართლოში?

21. აქვს თუ არა თარჯიმანს უფლება, გამოთქვას შენიშვნა სასამართლო სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის შესახებ?

22. ვინ შეიძლება პროცესის მიმდინარეობისას განახორციელოს მთარგმნლობითი საქმიანობა, გარდა თარჯიმნისა?

23. საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობისას, ვის წინაშე აყენებს თარჯიმანი თვითაც ილების შესახებ შუამდგომლობას?

24. ვის აქვს თარჯიმნის დაბარების უფლება სასამართლო პროცესზე?

25. ვინ ანაზღაურებს თარჯიმნის მოწვევის ხარჯებს?

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი, 1995 წლის, 24 აგვისტო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი, 1999 წლის 22 ივლისი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბილისი, 2009 წლის 09 ოქტომბერი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. თბილისი, 1999 წლის 25 ივლისი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. თბილისი, 1999 წლის 23 ივლისი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან კოდექსი. თბილისი, 1984 წლის 15 დეკემბერი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბილისი, 1997 წლის 26 ივნისი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თბილისი, 1997 წლის 14 ნოემბერი.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი



პერაზიის
თანაპროგრამის
ფონდი



თბილისი
2012